სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 16

2019 წ. "23" 04

ქ.თბილისი

შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 16 აპრილს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №437631) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის №15 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26³ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26³ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის №437631 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი